ხელშეკრულება №41
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 16 აპრილი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი" და მისი დირექტორის ჯემალ შავლიძის სახით, ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) და ი/მ გელა დიასამიძე დირექტორის გელა დიასამიძის სახით, მეორეს მხრივ (შემდგომში მიმწოდებელი)" "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ხ[1] პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პლასმასის მილის შეძენა ( cpv კოდი 42100000).

1.2.მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 479.20 (ოთხასსამოცდაცხრამეტი ლარი 20 თეთრი) ლარს.

## 2. საქონლის მიღება-ჩაბარება და მიწოდების ვადები

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

2.2. მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი საქონელი შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2016 წლის 29 აპრილამდე

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 3.გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურეობის შედეგად მიღებული საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მომწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენის შემდეგ [illegible] განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების [illegible]

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ლარებში;

## 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახედვა ან ცვლილება ხელშეკრულების პი[illegible] ორივე მხრის ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

ხელვაჩაურის წყალკანალი
KHELVACHAURIS TSKALKANALI
445382562
GEORGIA LTD

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება მხარეთა პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები.

## 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის ვინაობა;
9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით;
9.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა

9.5 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სკოლის მატერიალური პასუხისმგებელი პირი რევაზ ნაკაშიძე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

## 14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღიდან ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ ორი თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

საქართველო
KHELVACHAURIS
TSRALKANALI
448382562
GEORGIA. LTD

### 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2016 წლის 15 ივნისის ჩათვლით

### 16. სხვა დებულებანი

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე;

16.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან" და „ მიმწოდებელთან „

### 17. მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| --- | --- |
| შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი" | ი/მ გელა დიასამიძე |
| საიდ.კოდი 448382562 | საიდ.კოდი 61008015870 |
| სს საქართველოს ბანკი | სს თიბისი ბანკი |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: TBCGGE22 |
| ანგ N GE42BG0000000890481200 | ანგ:N GE86TB7567436010100002 |
| დირექტორი: | დირექტორი: |
| /ჯ.შავლიძე/ | გელა დიასამიძე |

საქართველო, შპს ხელვაჩაურის წყალკანალი KHELVACHAURIS TSKALKANALI 448382562 GEORGIA. LTD

# მიღება - ჩაბარების
# აქტი

ხელვაჩაური 16 აპრილი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ შემსყიდველი შპს "ხელვაჩაურის წყალკანალი" დირექტორის ჯემალ შავლიძის, მეორეს მხრივ მიმწოდებელი დირექტორის ----გელა დიასამიძე სახით ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

შპს წყალკანალის მიერ 2016 წლის 16 აპრილს გაფორმებული #41 ხელშეკრულების თანახმად ი/მ გელა დიასამიძის მიერ მოწოდებული იქნა შემდეგი დასახელების საქონელი:

| № | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი ( ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პლასმასის მილი | მეტრი | 200 | 1.4 | 280 |
| | | | | | |
| | ჯამი | | | | 280 |

შემსყიდველი:
შპს ხელვაჩაურის წყალკანალი
დირექტორი ჯემალ შავლიძე

მომწოდებელი:
ი/მ გელა დიასამიძე
დირექტორი: გელა დიასამიძე

# მიღება - ჩაბარების
# აქტი

ხელვაჩაური 23 აპრილი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ შემსყიდველი შპს ''ხელვაჩაურის წყალკანალი'' დირექტორის ჯემალ შავლიძის, მეორეს მხრივ მიმწოდებელი დირექტორის ----გელა დიასამიძე სახით ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

შპს წყალკანალის მიერ 2016 წლის 16 აპრილს გაფორმებული #41 ხელშეკრულების თანახმად ი/მ გელა დიასამიძის მიერ მოწოდებული იქნა შემდეგი დასახელების საქონელი:

| № | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პლასმასის მილი | მეტრი | 83 | 2,4 | 199,20 |
| | | | | | |
| | ჯამი | | | | 199,20 |

შემსყიდველი:
შპს ხელვაჩაურის წყალკანალი
დირექტორი ჯემალ შავლიძე

მომწოდებელი:
ი/მ გელა დიასამიძე
დირექტორი: გელა დიასამიძე

დანართი № 1

| № | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | სრული ფასი ( ლარი) | მიწოდების ვადა | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პლასტმასის მილი | მეტრი | 83 | 2,4 | 199,20 | 30 აპრილამდე | 42100000 |
| 2 | პლასტმასის მილი | მეტრი | 200 | 1,4 | 280 | 30 აპრილამდე | 42100000 |
| | ჯამი | | | | 479,20 | | |

ოთხასსამოცდაცხრამეტი ლარი 20 თეთრი

მიმწოდებელი: ______________________

ხელმოწერა

ბ. ა.

შემსყიდველი: ______________________

ბ. ა.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ბათუმი 16 აპრილი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა შპს „ხელვაჩაურის წყალკანალსა და ი/მ გელა დიასამიძეს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №41(16.04.2016) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საქართველო შპს ხელვაჩაურის წყალკანალი KHELVACHAURIS TSKALKANALI 448382562 GEORGIA LTD

დირექტორი ჯემალ შავლიძე

მატერიალური ტექნიკური

უზრუნველყოფის კორდინატორი რევაზ ნაკაშიძე